ავტორი: **რუსუდან თედორაძე**

ყველაფერი ცხოველების შესახებ

სამიზნე აუდიტორია: **ბუნებისმეტყველების მასწავლებლები**

საგანი: **ბუნებისმეტყველება**

წინამდებარე მასალა დაეხმარება ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს დაწყებით საფეხურზე (1-4 კლ), სამიზნე ცნების - „ორგანიზმი, სასრსებო გარემო“ დამუშავების დროს გაამრავალფეროვნოს საგაკვეთილო პროცესი

აქტივობა 1. გაკვეთილის საორგანიზაციო ნაწილის მოგვარება და გაკვეთილის მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა

მიზანი: მოსწავლეების საგაკვეთილო განწყობის შექმნა

<u>აქტივობის მსვლელობა:</u>

კლასში საორგანიზაციო საკითხის მოგვარების შემდგომ, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს: გაკვეთილის მიზანია ცხოველების შესახებ მიღებული ცოდნის შეჯამება და გამთლიანება. გაკვეთილის განმავლობაში გაიხსენებთ: შინაურ ცხოველებს; შინაურ და გარეულ ფრინველებს. ასევე, ცხოველთა სამყაროს ყველაზე პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო წარმომადგენლებს - მწერებს.

აქტივობა 2. სლაიდებზე მუშაობა

აქტივობის მსვლელობა:

<u>მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სლაიდს მოსწავლეებმა უნდა მიუწერონ შესაბამისი დასახელება სლაიდებზე მოცემულ ცხოველებს</u>

(სლაიდი #1. ცხენი, ძროხა, ცხვარი, კატა, ძაღლი, ციკანი, გოჭი)

დავალება 2. ყურადღებით დაათვალიერეთ სალიდი #2, „აღმოაჩინეთ“ ზედმეტი ცხოველი და იმსჯელეთ რატომ არი ის ზედმეტი? (სალიდი # 2 ცხენი, ძროხა, ცხვარი, კატა, ძაღლი, ციკანი, გოჭი, დათვის ბელი)



აქტივობა 3. უპასუხეთ კითხვებს:

აქტივობის მსვლელობა:

<u>მასწავლებელი გონებრივი იერიშის გამოყენებით ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და უსვამს კითხვებს:</u>

- რატომ ეძახიან ცხოველებს შინაურს?
- როგორ ზრუნავს ადამიანი ცხოველებზე?
- ჩამოთვალეთ რა ეწოდება სხვადასხვა ცხოველის საცხოვრებელს (მაგ; საღორე; გომური; ბაგა და ა.შ)

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს და აჯამებენ მასალას .

აქტივობა 4. ვიქტორინა „შინაური ცხოველები“

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სასწავლო ბარათებს,რომლებზეც სხვადასხვა ცხოველია გამოსახული; მოსწავლეები დასმულ შეკითხვაზე სიტყვიერი პასუხის ნაცვლად პასუხობენ სურათების აწევით.

კითხვები:

- რომელი ცხოველი აძლევს ადამიანს რძეს?(ძროხა,თხა,ცხვარი)
- რას ზრდის ადამიანი ხორცისთვის? (ღორი,ძროხა.თხა.ცხვარი)
- ვინ ამარაგებს ადამიანის მატყლით?(ცხვარი)
- რომელი ცხოველია ადამინის დამცველი და ნამდვილი მეგობარი?(ძაღლი)
- რომელი ცხოველიდან ვერაფერს ვღებულობთ სითბოს და სიყვარულის გარდა? დამაზუსტებელ შეკითხვად შეიძლება იყოს- გვეგებება კარებში მხიარული კრუტუნით (კატა)

მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და მოსწავლეებს აძლევს პოზიტიურ უკუკავშირს.

აქტივობა 5

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სლაიდებს სადაც გამოსახულია ფერმა (ბევრი ერთნაირი ცხოველი) და საოჯახო მეურნეობა (2-3 ძროხა) და ეკითხება მოსწავლეებს:

რა განსხვავებაა ამ ორ სლაიდს შორის ?

მოსწავლეების პასუხები შეიძლება იყოს: ერთზე ბევრი ცხოველია, მეორეზე კი ცოტა.

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ადგილს სადაც დიდი რაოდენობით ცხოველებს უვლიან ფერმას უწოდებენ. ფერმაში მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა პროფესია აქვთ. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალების ინსტრუქციას - თქვენ დარიგებული გაქვთ ბარათები, ერთზე აღწერილია ფერმაში მომუშავე ადამიანების ფუნქცია - მოვალეობა, რასაც ისინი ასრულებენ, მეორეზე კი პროფესიის დასახელება. შეეცადეთ პროფესიებს „მოუძებნოთ'' სახელები;

(მწყემსი, მწველავი, ვეტექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, ზოოტექნიკოსი)

შინაური და გარეული ფრინველები

აქტივობა 6

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს ფრინველის გამოსახულებით და მოსწავლეებმა უნდა მიუწერონ სხეულის ნაწილების დასახელება.



აქტივობა 7.

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: მოცემული გაქვთ ფრინველთა დასახელებები. შექმენით ცხრილი და მასში განალაგე მოზამთრე და მიმომფრენი ფრინველები (ბეღურა, მერცხალი, შაშვი, მწყერი, არწივი, ყვავი, ტოროლა, ბულბული, კაჭკაჭი, ყარყატი, კოდალა, მტრედი, ქორი).

აქტივობა 8.

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ბლიც-ინტერვიუს (მოსწავლეები პასუხობენ გამოსაძახებელი ჩხირების საშუალებით)

- რატომ უწოდებენ ზოგიერთ ფრინველს ტყე-ველის სანიტარს?
- რისი გაკეთება შეუძლიათ ფრინველებს? (აგებენ ბუდეებს, დაფრინავენ, ყვინთავენ, ცურავენ);
- რა ეხმარება ფრინველებს, რომ კარგად იგრძნონ თავი წყალში? (ცხიმის ჯირკვლები, ფალანგებს შორის აპკი);
- სად ბინადრობენ (ცხოვრობენ) გარეული ფრინველები?(ბუნებაში, ადამიანების სიახლოვეს, წყალსატევებთან);
- სად ბინადრობენ შიანური ფრინველები? (მეფრინველეობის ფაბრიკაში, საოჯახო მეურნეობაში);
- რატომ ამრავლებს ადამიანი შინაურ ფრინველებს? (კვერცხის, ხორცის, ბუმბულის მისაღებად).

მწერები

აქტივობა 9.

აქტივობის მსვლელობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებში ურიგებს კონვერტებს, რომელშიც ფაზლის სახით არის სხვადასხვა მწერის გამოსახულება. მოსწავლეებმა უნდა ააწყონ ფაზლი და გამოიცნონ რომელი მწერია. დაასაბუთონ რამ მიანიშნათ თუ რომელი მწერია (მაგ. ფუტკარი, კოღო, ჭიანჭველა ან სხვა).

აქტივობა 10.

აქტივობის მსვლელობა:

<u>მასწავლებელი გონებრივი იერიშის საშუალებით ააქტიურებს მოსწავლეების წინარე ცოდნას და უსვამს მათ კითხვებს:</u>

- რას უწოდებენ მწერებს და რატომ?
- რომელი მწერია ყველაზე ლამაზი? (პეპელა, ჭრიჭინა, ფუტკარი)
- რომელი მწერია მავნებელი?
- რომელი მწერებია სასარგებლო და რას ღებულობს მათგან ადამიანი?
- რომელი მცენარეებიდან აგროვებს ნექტარს მწერი?
- რა ეწოდება ფუტკრის საცხოვრებელს?

მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს ხელის აწევის პრონციპით, შემდგომ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს.

შეჯამება

აქტივობა 11

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვებით:

- საინტერესო იყო თუ არა ცხოველების შესწავლა და რატომ?
- რომელმა ცხოველებმა გამოიწვია თქვენი დაინტერესება?
- რომელი ცხოველი უფრო გიყვართ და რატომ?

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს,მსჯელობენ. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და აძლევს უკუკავშირს.